საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 124 დამატების № 23

კვირა, 5 თიბათვე, 1916 წ.



მგოსანი ჩახრუხაძე. ესკიზი პორტრეტისათვის ვლ. ხ.-ერისთავისა.

სტრიქონები

შეხვედრა.

ვიდრე გნახავდი მე ბევრს ვიცნობდი,
მაგრამ სულ მალე მავიწყდებოდა;
ვეძებდი ალერსს, ვეძებდი ტრფობას,
ვეძებდი მიზანს, გული მწყდებოდა.
ეჰ, რა ვიცოდი შენის შეხვედრით
სული ამაყი დამეწვებოდა,
და ჩემს ზაფხულის მზიანს დღეებში
ცივი ზამთარი ჩამოწვებოდა.

ლოდინი.

ციგლიგა სიომ შეითამაშა,
მიუალერსა ნაძვნარებს, ფიჭვებს;
და უნაყოფო ჩემმა ლოდინმა
გულში ადგილი დაუთმო იჭვებს.
შენ კვლავ არ სჩანდი, მზე ჩაესვენა,
ტყე დაიბურა, ჩამოწვა ბინდი
ვერ ავიტანე ზღვა-მწუხარება
დავემხე პირქვე და ავქვითინდი.
და როს ლოდინით მოტყუებული
ჩემი თვალები ცრემლად დნებოდა,
საღამოს სიო ობლად მდგომ ფიქრებს
რაღაც ძველ ზღაპარს ეუბნებოდა.

დანაშაული.

ნახვის სურვილით დამონებულმა
ქუჩაში დიდხანს, დიდხანს ვიარე,
შემთხვევით შევხვდი შენს დობილ ქალსა
და საიდუმლო გავუზიარე.
ვიგრძენი რაღაც დანაშაული
და შემდეგ როდეს შენ დობილს ვხედავ,
ვწითლდები, ვმორცხვობ და შენს შესახებ
მსურს, მაგრამ სიტყვის თქმას ვერა ვბედავ.

კეკლუცობა.

ერთად დავდივართ. ერთად ვსეირნობთ
ჩემო ოცნებავ, ჩემო ლაურა,
და შენი ქცევა და სიკოხტავე
დღეს მეტის მეტად მეუცნაურა.
რა ვქნა, ასეთი ლამაზი კაბა
შენ არასოდეს გიტარებია,
და რად კეკლუცობ, განა არ ვიცი?!
ალბად შენ ვინმე შეგყვარებია.
არა, არ გკითხავ, ვინ არის იგი
არ მსურს გავიგო და იცი კი რად?
ვაჰ, თუ მოვსტყუვდე და სითამამე
ნაღველად მექცეს და გულის ჭირად.

გ. მეგრელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომში მოკლული **მუხრან-ბატონი** და ქართველი სტუდენტები.

***

მშვიდობით ლელი, მითხარი წყნარა,
კრძალვით შემხედე... გამშორდი მალე,
წრფელი ნუგეშიც არ მომე, არა,
ისე გულცივად ჩამომეცალე...

—

საფლავის ქვაზე მიტოვებული,
დავემხე მწარედ, დავემხე ობლად;
ცეცხლით მეწოდა გული ვნებული,
არავინ მყავდა მე თანამგრძნობლად...

—

ცას ამშვენებდა ვარსკვლავთა რხევა,
ცას ამშვენებდა ნარნარა მთვარე;
მსურდა—ვერ შევძელ ცრემლების ფრქვევა—
მპოლოდ გიჟივით გადვიხარხარე...

კიკნა-ფშაველი.

„სახელოანი“

(მცირედი რამ ამბავი)

(დასასრული)

XIII

იქნება ცნობის მოყვარეთ ისურვონ შეტყობა მისი, თუ რა წამალი დასდო ვინმე ივანეს ან თუ რა ყოფაშია ამ ჟამად იგი.

ივანემ დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო. და აღარც მოჭგონებია ვისმე იგი. შემდეგში, რაც პირველ კრებაზედ არ ახსენეს მისი სახელი ორჯელ-სამჯერ. ხოლო რა დაემართად იმის ქვრივ-ობლებს, დღესაც არვინ იცის. ან კი რა საჭიროა ყველა ეს? იმისთვის ხომ არ გამოვიდა ივანე მოედანზედ, რომ მას ან მის ცოლშვილს ჰშველებოდა რამე! მან თვისი დანიშნულება პირნათლად შეასრულა. ივანეს უნდა ვუმადლოდეთ, რომ რამდენიმე წყება გამოჩენილი მოღვაწეებისა შეემატა სამშობლოს და, რაც უფრო თვალსაჩინოა, აფრასიონმა მოიხვეჭა სახელი და დიდება—„სახელოანი“ გახდა.

მართალია აფრასიონის „გასახელოანობაში“ სხვა გარემოებათ შეუწყეს ხელი, მაგრამ მაინც იმასაც იმავე ივანემ შეადგმევინა პირველი ნაბიჯი „სახელოანობის“ კოშკის დირეზედ, ხომ ძრიელ მარდათაც მოექცა ამ კოშკს ზედ წვეროზედ.

***

ხოლო გაუკითხავად მტკიცება მისი, რომ ივანესა და მისი ცოლშვილისათვის არავითარი მნიშვნელობა და საკეთილო შედეგი არა მოჰყოლია მოწინააღმდეგეთა ბანაკების ერთი ერთმანეთთან შეხლას, სრულ უსამართლობას მოასწავებდა. ისეთი ხანგრძლივი და ნაყოფიერი პოლემიკის მიმდინარეობაში, როგორსაც აწარმოებდნენ მოწინააღმდეგეები, სხვათა შორის, ორი დებულებაც გამოირკვა. ერთი—რომ ივანეს მამული, უფრო კი ამ მამულისადმი სიყვარული, და საზოგადოდ გრძნობა მამულის შვილობისა სულიან ხორციანად სწამლავდა და ამისთვის საჭირო იყო მიეტოვებინა იგი მამული, როგორც მიზეზი მისი აუწერელი და აუტანელი უბედურებისა.—ამ დებულების მომხრედ სრულიად და ადვილად გაიმარჯვეს ჯერ ისევ მაშინ, როცა არც კი დაესკვნათ საბოლოოდ ეს დებულება, ვინაიდგან ივანე, როგორც იყო უკვე ნათქვამი, გარდაიცვალა და მისი ქვრივ-ობლები, თუ ჯერ არ შესდგომიან მის გზას, ამოჰყოფენ თავს სადმე შორს სრულიად განთავისუფლებულნი მამულისაგან და ბედნიერნი და უზრუნველყოფილნი მამულიშვილობის შხამით მოწამვლისაგან.

მეორე დებულება—რომ ივანესათვის ძრიელ ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება, თუ მისი ნაჭერი მამული, რომელზედაც ახლა ყვავ-ყორანი ბუდობს თანასწორი უფლებით შეუკავშირდება და შევა უცხო მეზობელთა წრეში.—იქნება გვიან, მაგრამ აშკარაა ამ დებულების წამომყენებელნიც უთუოდ გაიმარჯვებენ.

ასე რომ ორივე მოწინააღმდეგე მხარე ჭეშმარიტებას ჰღალადებდა და შრომობდა, ცდილობდა ივანეს კეთილდღეობისათვის. მაშასადამე, ორივე მოწინააღმდეგე ბანაკის ჩხუბი და დავიდარაბა ივანეს სასარგებლოდ სწარმოებდა და მისსავე სასარგებლოდ დაბოლავდა.

XIV

ბევრმა შავმა ღრუბლებმა გადაიარა ცაზედ და უთვალავი თეთრი ღრუბელიც თან გადაიტანა. დედა-მიწის ზურგზედაც ბევრმა წყალმა ჩაიარა. აფრასიონმაც გამაიგონა სურვილი ნიშანი, გაიკეთა ზედ და დაუღალავად განაგრძობდა კაცობრიობისათვის დიდად სასარგებლო თვის მოღვაწეობას ასპარეზზედ, რომელიც გულუხვად გადაუშალა მას უცხო და ვრცელმა მხარემ. მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ერთმა მისთვის აქამდის უცნობმა გრძნობამ გაიღვიძა თუ უცბად ამოჰყო მასში თავი—ამის შესახებ თვითონ აფრასიონიც ვერ მისცემდა თავისთავს ანგარიშს, ხოლო მის არსებობას, ბევრიც რომ ცდილიყო, ვერ ჰყოფდა უარს.

ეს უცნაური გრძნობა იყო, რომ აუტანელ მოუსვენრობაში ჩააგდო აფრასიონი. სჭამდა, სვამდა უწინდებურად; თვის სარბიელზედაც საქმე უფრო წარმატებით მიჰყვანდა. მაგრამ მაინც ვერ კმაყოფილდებოდა ამით, როგორც წინად, თითქოს რაღაცა არსებითი რამ აკლდა მას. ტკბილი ძილი ხომ დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა. და ამ უძილობამ უფრო გაუჭირა საქმე. ხანდისხან თუ ჩაეძინებოდა, უთუოდ ესიზმრებოდა ან თეთრი დიდი ქვა, რომელიც მისი მამის, განსვენებული აპალონის ეზოში ეგდო და რომელზედაც იგი ბავშვობაში აბობღდებოდა ხოლმე და მერე ძირსა ხტებოდა; ან იმავე ეზოში მდგომიარე მსხლის ხე.—შევიდოდა თუ არა თვალი ხის ნაყოფში, აფრასიონი განუშორებელი სტუმარი იყო ამ ხისა. სულ კენწერ-კენწერ დაივლიდა ხოლმე მთელ ხეს. ბევრჯელ დედაც შეუდგებოდა ქვეშ და შეჰსძახოდა: „შვილო, აბა ჩამომიგდე კალთაში მსხლები“, რასაც აფრასიონი სიამოვნებით ასრულებდა. აი მხოლოდ ამისთანა სიზმრების შემდეგ თუ ეძლეოდა აფრასიონს ცოტაოდენი შვება და მოსვენება, თორემ სხვა დროს აუტანელ მოუსვენრობას განიცდიდა.

მოუსვენრობამ და უძილობამ, ნამეტნავად, ძრიელ დააუსტეს აფრასიონი და ბოლოს კიდეც დაავადმყოფდა. წამლობით გულმოდგინეთ წამლობდა, ხოლო არაფერი წამალი არ ეკარებოდა მის ავადმყოფობას და თუ არ უარესობა, უკეთესობა არ ეტყობოდა.

რა კი ავადმყოფობამ მოუსპო აფრასიონს საშუალება საზოგადო სარბიელზედ მოქმედებისა, ახლა იგი ოცნებითა და მოგონებით ღა სულდგმულობდა. წინად თუ სიზმრად ჰხედავდა თეთრ დიდ ქვასა და მსხლის ხეს, ახლა ცხადათაც იგონებდა მათ და თავის ბავშვობასაც, როდესაც იგი ფეხშიშველა და თავშიშველა რბოდა ხან ხის ქვეშ, ხან ქვის გარშემო და თანაც მზის ცხოველი სხივები ხან სასიამოვნოდ ეალერსებოდნენ მას, ხან უწყალოდ სწვავდნენ და აი სწოლოდ ამისთანა მოგონების დროს იგი გრძნობდა, რომ თითქოს შორიდამაც კი სასიამოვნოდ ათბობდნენ მის გულს ეს ცხოველმყოფელი სხივები მზისა; გრძნობდა იგი ამავე დროს იმასაც, რომ რაღაცა უხილავი ძალა ეწევა მას ამ სხივებისაკენ და მასთან ერთად ესმოდა თვისი გულის თხრობაც: „იქ, იქ არის უებარი წამალი შენი განკურნებისათვის“.

განა კი არ მოუვლიდა ხოლმე აფრასიონს ხანდისხან ჟინი მოჰხვევნოდა ქვასაც და მსხლის ხესაც და გულიანად დაეკოცნა,—ისე კი, რომ არავის დაენახა—მაგრამ ვინ მისცემდა ნებას დაბრუნებულიყო იმ მხარეში, სადაც იმყოფებოდნენ მისი ბავშვობის მეგობარნი? არ კი ეგონოს ვისმე, რომ აფრასიონი გაძევებული იყო სამშობლოდგან ისევე, როგორც უხსოვარ დროს ბერძნები აძევებდნენ სამშობლოს მოღალატეს. არა, განა რა ჩაიდინა ამასთან აფრასიონმა! იგი სულ სხვა საქმეზედ და სხვისგან იყო განდევნილი.

***

დიდის მეცადინეობის შემდეგ მაინც მოიპოვა აფრასიონმა ნებართვა და გამოეშურა მზის ცხოველმყოფელი სხივებისაკენ და ამ სხივებმაც მალე იჩინეს მაზედ თვისი გამკურნავი ძალა. თითქმის სრულიად განკურნელი იყო, როცა უახლოვდებოდა იმ არე მარეს, სადაც გაატარა ნეტარი დრო ბავშვობისა.

აფრასიონს მკერდიდან გული ჰვარდებოდა და მის წინ მიისწრაფოდა და იგიც გაფაციცებით მისდევდა თავის გულს. აი, შევიდა ნაცნობ არე-მარეში. ათვალიერებს თვის საყვარელ ქვას—აღარსადა ჩანს, ახალ პატრონს არე-მარისას ქვა მიეყიდნა მესაკირეებისათვის; ეძებს სატრფო მსხლის ხესაც—აღარც მსხლის ხეა, მის ადგილზედ სადუქნე შენობა არის გამოჭიმული.

ერთად ერთი ნაცნობი აფრასიონისა მხოლოდ არე-მარის პატრონი ღა აღმოჩნდა. დაინახა თუ არა ამ უკანასკნელმა ეზოში მოხეტიალე აფრასიონი, საეჭვო პირად ჩასთვალა იგი, გამოკიდა შინიდგან ყურებამდის ულვაშებ გადაგრეხილი და შეუყვირა მას:

—ვინა ხარ, რას ეძებ?

ხოლო აფრასიონს დიდად იამა, რომ ბედმა შეახვედრა იგი თვის ძველ ნაცნობს და ამასთანავე მისგან დავალებულს და ტკბილად მიესალმა:—ოსეფას გაუმარჯოსო!

— ვინა ხარ?

— აფრასიონ გვარაძე ვარო.

— ვინ აფრასიონ გვარაძე?

— განა ვეღარ მიცნობ?

— აბა რა ვიცი საიდამ უნდა გიცნობდე!

— მე ისა ვარ, სამზღვარზედ რომ მოგეგებე, როცა ამ მხარეში მოდიოდი.

— როდის მოვდიოდი ან როდის მომეგებე—რას ამბობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაეროპლანი პარიზზე.



წყალქვეშა ნავის დურბინდი
(პერესკოპი)

— მაშ აღარ გახსოვს?! ამ ნიშნით პატარა აბგა-ხურჯინიც რომ გეკიდა მხარზედ.

— მე შენი ვერაფერი გამიგია! ვხედავ ზღაპრების თქმის გუნებაზედა ხარ, მე კი არ მეზღაპრება. მითხარ, რა გინდა?

— არაფერი! მე ამ ეზოყურეში ვარ დაბადებული და გაზდილი, მიყვარს და მინდა, რომ როგორც დავიბადე აქ, აქავე დავიმარხო სიკვდილის შემდეგ.

— კარგი არაფერია, თქვენმა მზემ!.. როგორ თუ აქ დაიმარხო? მერე ვინ გაძლევს მაგის ნებას და უფლებას, მე პატრონს აღარა მკითხავ? კაცს საყდარივითა მაქვს აქაურობა დაცული და შენახული და ვიღაცა ოხერის ლეშით ავაყროლო?!.. ჭკვას დაულაგდი ძმავ!.. შენ, ჩემო მეგობარო, აი რა გითხრა: ნელ-ნელა დაიწყე სიარული და გაუდექი გზას იქითკენვე, საიდაშაც მოჰსულხარ. ამაზედ უკეთესი და სასარგებლო შენთვის სხვა არაფერი იქნება.

ოსეფას ამისთანა გადაჭრილი პასუხის შემდეგ აფრასიონი იძულებული შეიქმნა მოენახა თვისი ამხანაგები და თანამოაზრეები, რათა მოელაპარაკნა მათთან მაზედ, თუ რა გზას დასდგომოდა იგი. მაგრამ, რადგანაც თანამოაზრეთაც მისდამი მიბაძვით თვითონაც მიეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები და ბინა აშლილ ქათამსავით აქა-იქა მოდებოდნენ, ძრიელ დიდი ძებნა დასჭირდა მათი.

რამდენსამე მაინც მოუყარა თავი და გამართეს დიდი ბჭობა და თათბირი ამ საჭირ-ბოროტო საგანზედ.

რა რეზოლიუციას გამოიტანენ ბჭობა-თათბირზედ—ამას, რაღა თქმა უნდა, ქვეყნიერობას ამცნობენ.

მელანია.

რუსთველის ჰანგები

(ესკიზი)

დღე-ღამის განმავლობაში, ზარბაზნების გრიალ-გუგუნის ტ თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ, ისევ სიწყნარე ჩამოვარდა.

ჰაერი თოფის წამლის და ადამიანთა სისხლის სუნით იყო გაჟენთილი. ჯარისკაცებს თავ-თავიანთ თხრილებში მოეყარათ თავი და დაღლილ-დაქანცულნი, ზოგი დაჭრილ-დასახიჩრებულნი ამხანაგებს შკელოდნენ, ზოგიც მთელი ორი დღის უჭმელნი, გამხმარი შავი პურით იკლავდნენ შიმშილს, მაგრამ საუბედუროდ ისიც არ ჰქონდათ საკმაოდ; არც იმის საშუალება ჰქონდათ, რომ დაკოდილი ჯარისკაცები ბრძოლის ველიდან გაეყვანათ და საველე საავადმყოფოში მოეთავსებინათ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მტერმა სწორედ ის გზა მოსჭრა, საიდანაც ჯარს სურსათი და საექიმო დახმარება უნდა მიეღო. მდგომარეობა კრიტიკული იყო; ორში ერთი: ან დანებებოდნენ მტერს, ან გაწყვეტილიყვნენ უკანასკნელ ჯარისკაცამდის...

ორი ქართველი აფიცერი ტელეფონთან იდგა. ერთ იმათგანს ტელეფონის მილი ყურზედ მიედვა და დროგამოშვებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, იმეორებდა „მესმის“!.. „ვეცდები“!.. უმცროსი სულ ახალგაზრდა, 19—20 წლის პრაპორშჩიკი, მოუთმენლად ელოდა საქმის ვითარების გაგებას: ის გრძნობდა, რომ სიტყვები: „მესმის“, „ვეცდები“, პასუხი იყო ჯარის უფროსისგან მათდამი რაღაც ჰასუხსაგებ საქმის დავალებისა...

— რაშია საქმე კაპიტანო? შეეკითხა ის უფროს აფიცერს, როცა ამ უკანასკნელმა ტელეფონის მილი თავის ადგილზედ დაკიდა და ჩიბუხს ასანთით მოუკიდა.

— გადაწყვეტილია, ვისარგებლოთ ღამის სიბნელით და გავარღვიოთ ერთ-ერთ ადგილზედ მტრის ჯარი,



ზარბაზნის ვაგონი.



მცურავი ხიდი საჩქაროდ ᲒᲔ დებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება ღმერთი შეგვეწიოს და ჯარის ნაწილი მაინც გადავარჩინოთ... წინაალმდეგ შემთხვევაში, ან ტყვეობა მოგველის, ან მთლად განადგურება!.. კერძოდ ჩვენ გვიბრძანეს პირველად ვეკვეთოთ მტერს ჩვენი ჯარით... გადაეცი ამხანაგ-აფიცრებს, მზად იყვნენ!..

— ჰმ, თუ კი ვინმე ცოცხალი დარჩა!.. ოხვრით წარმოსთქვა უმცროსმა აფიცერმა,—ჯარიც რომ განახევრებულია! ჩემი ჯარი თითქმის ორი მესამედი დარჩა ბრძოლის ველზედ უკანასკნელ იერიშის დროს!.. განსაკუთრებით ქართველებს არ გვწყალობს ბედი! რაც იყვნენ, ჯარისკაცნი, თუ აფიცრები, უმრავლესობა თითქმის გაწყდა...

— რა გაეწყობა! თუ სიკვდილი გვიწერია, ვეცადოთ მოვკვდეთ სახელოვანად! მაგრამ... სუ! ეგ ვინ მღერის?.—ოხ, ეგ სიტყვები!.. თითქოს ჩემდა საპასუხოდ არის ამ წუთში ნათქვამი!.. გესმის შალვა? ყური დაუგდე!.. მახლობელ თხრილიდან მკაფიოდ ისმოდა მომღერლის ხმა:—„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა ალდოვანი, მისგან ყოველი გასწორდის, სუსტი და ძალ-გულოვანი,“—უცბად გადაუხტა მომღერალმა და ასე დაათავა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!..“

— რუსთველის ჰანგები! აღტაცებით წამოიძახა შალვამ და წუთის წინ სულიერის განცდით გაფითრებული სახე, ახლა უფრო გაუფითრდა. მან იცნო ეგ სიტყვები! მის გონებაში ნათლად გაიელვა წარსულის მოგონებამ: როცა მას ბებია „ვეფხვის ტყაოსნიდან“ მოუყვებოდა შესანიშნავ ლექსებს, რომელსაც ბებია „რუსთველის ჰანგებს“ უწოდებდა.

სიმღერის ხმა შეწყდა. პრაპორშჩიკი და კაპიტანი ერთმანეთს შესჩერებოდნენ, თითქოს სურდათ ამ სიმღერით გამოწვეული გრძნობა, ურთიერთისთვის სიტყვით გადაეცათ; სურდათ, გაქცეულიყვნენ იმ თხრილში, საიდანაც მოისმოდა ეგ გულის სიღრმემდე მიმწდომი ქართული ჰანგი, გადახვეოდენ მომღერალ ჯარისკაცს და გრძნობით ჩაეკოცნათ.

— შალვა? შენ სთქვი, ეგ რუსთველის სიტყვები არისო? ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ შეეკითხა კაპიტანი შალვას.

— როგორ, ბ. გიგო? თქვენ „ვეფხვის ტყაოსანი“ არ წაგიკითხავთ?! გაიკვირვა შალიკომ.

— ეჰ, ჩემო ძმაო! მე მაგ ბედნიერებას მოკლებული ვარ... ან კი როდის უნდა წამეკითხა: სახლში, თუ სკოლაში, მუდამ უცხო სიტყვებს ვსწავლობდი, სკოლის შემდეგაც ისეთ წრეში ვერიე, რომ მიკვირს, სულ რატომ არ დამავიწყდა დედა-ენა; განა არ მატყობ რა ცუდად ვლაპარაკობ ქართულს? ამ მხრით შენ ჩემზედ ბედნიერი ხარ!.. შენ გეტყობა გვარიანად იცნობ ქართულ მწერლობას...

— სამაგიეროდ რუსულში, რომელიც ასე საჭიროა დღეს, როგორც ხედავთ, ძალიან ვკოჭლობ, ღიმილით უპასუხა შალიკომ და სახეზედ ცოტა წამოწითლდა.

— ეგ, არაფერია. დამერწმუნე, ათასი სხვა და სხვა ენა რომ გვცოდნოდა, ვერ განვიცდიდით იმ სულიერ სიამეს, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ამ წუთში გაგონილ ქართული ჰანგებით! აი, ის ემოცია, რომელსაც იწვევს თურმე ადამიანში მხოლოდ მშობლიური ენაზედ ნათქვამი სიტყვები!.. განსაკუთრებით, როცა სამშობლოს მოშორებული, უცხოთა შორის, სიკვდილს თვალებში შეჰყურებ! შენსა და მის შუა მხოლოდ ერთი ნაბიჯიღაა!..

ტელეფონის ზარი კვლავ აწკრიალდა. კაპიტანი შეკრთა და მრთოლვარე ხელით ტელეფონის მილი ყურთან მიიდო. „მესმის“!.. „მზათა ვარ, პოლკოვნიკო„! ჩასძახა მან ტელეფონში და მილი თავის ადგილზედ დაკიდა.

— ავჩქარდეთ შალვა! მოვალეობა გვიწვევს! უთხრა მან შალვას და წასასვლელად მოემზადა.

— მეც მზადა ვარ კაპიტანო! მივდივარ იმ იმედით, რომ...

„უგანგებოდ ვერას მიზმენ
შეცამებნენ ხმელთა სპანი;
განგებაა, არ დავდგები,
ლახვარნია ჩემთვის მზანი;
ვერ მიხსნიან ვერც ციხენი,
ვერც მოყვასნი, ვერცა ძმანი,
ვინცა იცის ესე ასრე
ჩემებრია გულოვანი!..“

— ოხ! გმადლობ შალვა, გმადლობ! მომეცი სიტყვა, რომ თუ ცოცხალი დავრჩით, მასწავლე ეგ შენი „რუსთველის ჰანგები“!

— კეთილი!..

— მაშ ეხლა ვაკოცოთ ერთმანეთს და ჰაიდა! და ერთმანეთს გრძნობით ჩაეკონენ...

II

მთელი თვე გადის, რაც შალვა ა—შვილის მოხუც ბებიას თავისი შვილისშვილის წერილი არ მიუღია.

ეს კარგს არაფერს მოასწავებდა! წინეთ ყოველ კვირაში თითო წერილს მაინც აგზავნიდა შალიკო, კითხულობდა გამზრდელი ბებიის ამბავს, ამხნევებდა, ნუგეშს აძლევდა, თუმცა ხანდახან, გაკვრით ამასაც მოსწერდა: „ბები! დღევანდელი ომი არა გავს იმას შენ რომ გაგიგონია. შენ ვერ წარმოიდგენ რა აუარებელი სისხლი იღვრება ამ ცოდვილ დედა-მიწაზედ! ჩვენს მდგომარეობაში მყოფი, ბედნიერი თუ გადარჩება ცოცხალი! ხმალი და ძალა აღარ გადის, წავიდა ის დრო, როცა რომელიმე გმირი, ხმალ ამოწვდილი გადაერეოდა მტერს და მარჯვნივ და მარცხნივ კაფავდა და სხვ...

ეს იყო და ეს! ამ უკანასკნელი წერილის შემდეგ შალვას წერილი არ მიუღია. ის დღეს მეასედ ჰკითხულობდა ამ წერილს და თვალები ცრემლით ევსებოდა. მაგრამ არა! შალვა ომში იყო, სიკვდილის წინ იდგა და ამ დროს განა ცრემლები უნდა „დაებედებინა“ მისი ოჯახისათვის?.

— დედა ღვთისა ისე არ დამსჯის, რომ მისი სიკვდილი მომასწროს,—წაიბუტბუტა მან თავისთვის და იქვე ჩასვენებულ ღვთისმშობლის ხატს მიაშტეია თვალები... ხატის წინ წმინდა სანთელი იწვოდა. მძიმე ნაბიჯით მივიდა ხატთან, თაროდან ლოცვანი ჩამოიღო, სათვალე გაისწორა და ის იყო შალიკოს სამშვიდობოდ „დაუჯდომელი“ უნდა წაეკითხა, რომ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მეზობლის პატარა ბიჭი შემოვიდა.

— ქალბატონო! ბაბამ სადგურიდან ეს ქაღალდი მეიტანა, შალიკოდან უნდა იყოსო,—უთხრა მოხუცს და გაჭუჭყიანებული წერილი გადასცა. უსიტყვოდ, აკანკალებული ხელებით, საჩქაროდ გახია ჩანთა, ამოიღო წერილი და სახტად დარჩა!..—ეს შალიკოს ნაწერი არ არის! გაკვირვებით წარმოსთქვა მან და წერილი თვალებთან უფრო ახლოს მიიტანა. წამი არ გასულა, რომ ერთი საზარლად, რაღაც არა ადამიანური ხმით დაიკივლა და უსულოდ იატაკზედ გაიშხლართა. შეშინებული პატარა ბიჭი, მოაჯირზედ გავარდა და ყვირილი მორთო, ხმაზედ მეზობლები ჩამოცვივდნენ, უფრო კი ქალები და მოხუცებულები, რომელნიც იმ დროს სახლში იმყოფებოდნენ.—რა ამბავია, რა მოხდა? კითხულობდნენ ისინი და ერთი მეორეს ასწრებდნენ ოთახში შესვლას. მიცვივდნენ იატაკზედ გულ-აღმა დაგდებულ მოხუცს, რომელსაც ცალ ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა და მეორე ხელი მკერდზედ ჰქონდა ჩაკიდებული. ის უკვე ამ სოფლად აღარ იყო! უკანასკნელი ამოსუნთქვის დროს უკბილო ტუჩები ფართოდ გაეღო და სათვალის ქვეშ თეთრად გადმოკაკლული თვალები უჩანდა...

— რა იყო, ბიჭო? რა დაემართა ამ საცოდავს? ეკითხებოდნენ მეზობლები პატარა ბიჭს.

— რა ვიცი, ე, ის ქაღალდი მეევიტანე და რომ გახსნა, ერთი დაიკივლა და დაეცა ძირს,—ტირილით ამბობდა პატარა ბიჭი... ერთმა მოხუცმა მიცვალებულს წერილი ფრთხილად გამოართვა ხელიდან და იქვე მდგომ ახალგაზრდა ქალს გადასცა:

— მარო, წაიკითხე რა სწერია ამ წყეულს წერილში, ალბად ი უბედური ბიჭი თუ მოჰკლეს!..

მარომ წერილი გამოართვა და გასაგონად წაიკითხა: „დიდად პატივცემულო ქალბატონო! ვსწუხვარ, რომ ბედმა მე მარგუნა გაცნობოთ საზარელი ამბავი: თქვენი ძვირფასი შვილის შვილი შალიკო, აღარ არის!.. მან გმირულად დალია სული ბრძოლის ველზედ ჩემს ხელში, ჩემის თანადასწრებით. მისი უკანასკნელი სიტყვა თქვენი სახელი იყო. მისი დავალებით გწერთ ამ წერილს, გთხოვდათ მოთმინებით გადაიტანოთ ეს უბედურება... „თუ კაცი ჭირსა ვერ დასთმობს, ლხინი რა დასათმობია“-ო. ეგ სიტყვები მისგან ნაკარნახევია, ასე მისწერე ბებიასო, მთხოვდა უკანასკნელად... ჩემის მხრით კი შემიძლია განუგეშოთ იმითი, რომ ღირსეული ადამიანის აღმზრდელმა თქვენმა შვილის შვილმა, ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა... ღმერთმა მოთმინება მოგცესთ. თქვენი ღრმად პატივისმცემელი კაპიტანი ო—ძე“.

ვაიმე ძმაო! ვაი შვილო! გაისმა წივილ-კივილი დამსწრე ქალთა შორის.

— ჯერ მიცვალებულს მიხედეთ და მერმედ იტირეთ. თითქმის ბრძანებით შენიშნა ერთმა შავებით ჩაცმულმა მოხუცმა და მიუთითა მიცვალებულზედ,—აიღეთ და თავის ლოგინზედ დაასვენეთ! ეგ ბედნიერი ყოფილა!.. ნეტავი ძეც მასე მომსვლოდა, როცა ჩემი მარჩენალი შვილის სიკვდილის ამბავი გავიგე!.. ღმერთო ძლიერო!

— ვაი შვილებო! ვაი თქვენს უბედურ დედებს!—მკერდზე ხელის ცემით წარმოსთქვა შავ ძაძიანმა ქალმა და დაბლა დაეშვა...

ტაბუ.

ეროგის საპითხის ოცნება და სინამდვილე

ბერის. ბერეს თუმანოვის საერობო ბუშტი,

უცბად ბარგი ჩამოუჭრეს, თავში იცეს მუშტი!

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**